



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარათა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. იანვრის 27.

№ 1

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

1. გამხედრობული საუწყებო დაცვის ბრიგადის მოწყობის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

2. მებაღეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

3. ბამბის დასათესად დანიშნული მიწის ნაკვეთების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის შესახებ.

4. საქონლის დაუზოგველად დაკელის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

5. კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ.

6. ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში ბინის ჭირის თავის დროზე შეტანის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

ფინანსები

7. საერთო - სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

8. სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან საპორტო საწმარტე-

ლობის ნავსურსათების განთავისუფლების შესახებ.

9. ადგილობრივი დაბეგვრის სფეროში სამხედრო მსახურთა შეღავათების შესახებ.

კ რ ე დ ი ტ ი

10. საკოაპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისათვის ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინების წესის შესახებ.

შ რ ო მ ა

11. კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაოდ სანაგარიშო საქმის მომუშავეებისა და აგრონომიული პერსონალის მობილიზაციის შესახებ.

სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება

12. საქართველოს სსრ-ის სარკინისგზო (სახაზო) სასამართლოს მოწყობისა და ამ სასამართლოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

დროებითი დებულება საქართველოს სსრ სარკინისგზო (სახაზო) სასამართლოს შესახებ.

13. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართის მე-II მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

1. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადის მოწყობის შესახებ.

რათა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა დაწესებულებათა და საწარმოთა დაცვის საქმე რაციონალურად იქნეს დაყენებული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ მილიციისა, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოსთან, ამ უკანადაც არსებული საუწყებო მილიციის ნაცვლად, გამხედროებული დაცვა, რომელსაც ეწოდოს „გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადა“.

2. გამხედროებულ საუწყებო დაცვის ბრიგადაზე დაკომპლექტებისა, შეიარაღებისა, უფლება-მოვალეობისა და ქვემდებარეობისა, აგრეთვე სადისციპლინო და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის სფეროში გავრცელდეს ის კანონები, დადგენილებები და წესდებები, რაც არსებობს მუშათა და გლეხთა საერთო მილიციისათვის.

3. ამ უკანადაც არსებული საუწყებო მილიცია მთლიანად შევეა გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადაში და მისი ორგანიზაცია სათანადოდ გარდაიქმნება ამა დადგენილების საფუძველზე.

4. გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადის შესანახ ხარჯს გაიღებენ დაინტერესებული დაწესებულებანი და საწარმონი საქართველოს სსრ მილიციისა, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს და აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა შორის დადებული განსაკუთრებული შეთანხმების წესისამებრ; ამასთანავე შეთანხმებით განსაზღვრულ უნდა იქნეს:

ა) ვადა, რომლის განმავლობაშიაც მოწყობილ უნდა იქნეს გამხედროებული საუწყებო დაცვა, და

ბ) საერთო რაოდენობა იმ საორგანიზაციო ხარჯისა, რაც გაწეულ უნდა იქნეს გამხედროებული საუწყებო დაცვისათვის; ეს ხარჯი გამოიანგარიშება საპროცენტო ანარიცხის სახით იმ საერთო თანხიდან, რაც ამა თუ იმ დაწესებულებამ ან საწარმომ უნდა გადაიხადოს საუწყებო დაცვისათვის.

5. გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადა განახორციელებს:

ა) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა დაცვას იმ ინსტრუქციის მიხედვით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ მილიციის, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო;

ბ) კოოპერატიული, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების კუთვნილ სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა დაცვას ხელშეკრულების საფუძველზე.



6. გამხედროებულ საუწყებო დაცვის შესანახად შემოსული თანხა ჩაირიცხება საქართველოს სსრ მილიციისა, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს სპეციალურ სახსრად; ამ თანხის ხარჯვას აწარმოებს გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადის კომანდირი საუწყებო სპეციალურ სახსართა თაობაზე მოქმედი კანონებისა და იმ ინსტრუქციის თანახმად, რასაც საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცემს საქართველოს სსრ მილიციისა, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო.

7. სახელმწიფო მილიციის მოვალეობის შესასრულებლად გამხედროებულ საუწყებო დაცვის გამოყენების წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ მილიციისა, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მილიციისა, სამძებრო მილიციისა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველოს გამოსცეს,—რესპუბლიკის პროკურორთან, შრომის სახალხო კომისარიატთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით,—დებულება, რომლითაც განსაზღვრულ იქნება გამხედროებული საუწყებო დაცვის ბრიგადის მოქმედებისა და გამოყენების წესი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **მ. ცხაკია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი—სასახლე.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა


2. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მებამბეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს სსრ-ის სოფლის მეურნეობაში ბამბის კულტურის შემდგომი განვითარება, რასაც უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, სრულად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ათი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოჰყოს მიწათმიჩენის წესით საქართველოს სსრ მებამბეობის რაიონებში (ბორჩალოს, ლიუქსემბურგის, ყარაიას, სიღნაღის, გარე-კახეთის და გურჯანის რაიონები) სავლცხო სარგებლობის მიწების შედგენილობიდან სარწყავი ფართობი, რაზედაც ბამბა უნდა დაითესოს.

Handwritten notes: 2/2, 21/18, 2/20



2. დადგენილ იქნეს, რომ საგლეხო მეურნეობა, რომლის სარგებლობაშიაც არის წინა მუხლის წესით ბამბის კულტურისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, ვალდებულია დათესოს ამ ნაკვეთებზე მხოლოდ ბამბა.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისათვის თავის არიდება გამოიწვევს დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 265).

ამის გარდა, უკეთეს ბამბის კულტურისათვის დანიშნულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ან კოლონიის დახმარებით მოხსნულ მიწის ნაკვეთებზე დათესილ იქნება რაიმე სხვა კულტურა, ეს ნაკვეთი ხელახლად უნდა მოიხნას და დაითესოს ბამბა სათანადო საგლეხო მეურნეობის ხარჯით.

4. აეკრძალოს ყველა დამზადებულ ორგანიზაციას ყარაიას და ბორჩალოს მეტამბეობის რაიონებში სხვა რაიმე კულტურების კონტრაქტაცია, გარდა ბამბის კულტურისა, და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება მოსახლეობისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების საშუალებით, ხოლო დანარჩენ რაიონებში, 1-ლ მუხლში აღნიშნულ რაიონთაგან, ამ ღონისძიებათა გატარება მიწათმკვედების სახალხო კომისარიატისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის თანხმობის გარეშე.

5. ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო უშუალოდ თვალყურის დევნება—სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს.

6. წინადადება მიეცეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს აცნობონ მოსახლეობას მოქალაქეთა საერთო კრებაზე (კრილობებზე) გამოცხადებით, ამა დადგენილების შინაარსი და გაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მნიშვნელობის შესახებ.

7. წინადადება მიეცეს უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს იხმარონ ღონისძიება, რათა სასამართლოს საქმეები ამა დადგენილების დარღვევის შესახებ განხილულ იქნეს როგსგარეშე წესით და საჭირო შემთხვევაში მოეწყოს ხოლმე საჩვენებელი პროცესები.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგიერ **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ფ. შახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრა.**

1930 წ. დეკემბრის 25.

ტფილისი—სახალგ.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 304 №-ში 1930 წ. დეკემბრის 27.

3. დადგენილება ს. კ. ს.

ბაშბის დასათესად დანიშნული მიწის ნაკვეთების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის შესახებ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება შეეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უზრუნველყოფის საეხებით ბაშბის დასათესად დანიშნული სარწყავი მიწის ნაკვეთები საქართველოს სსრ საბაშბე რაიონებში (ბორჩალოს, ყარაიას, ლიუქსემბურგის, სილნალის, გარე-კახეთის და გურჯაანის რაიონებში) საზაფხულო წყლით სათანადო სარწყავი სისტემებიდან; ამასთანავე ამ საჭიროებას წყალი უნდა დაეთმოს პირველ რიგში და უპირატესად იმ ნაკვეთებთან შედარებით, რომლებზედაც დათესილია სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

2. დაევალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიება, რათა 1931 წ. თებერვლის განმავლობაში ყველა სარწყავი სისტემა საბაშბე რაიონებში სათანადო მდგომარეობაში იყოს და, წყლის გამოსაღების დებულების 29 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 39 №-ი, მუხ. 419), წყალმოსარგებლენი ჩაბმულ იქნენ წყალსამეურნეო ბეგარაში სათანადო არხებისა და ნაგებობების გასაწმენდად და შესაკეთებლად.

3. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესრულებისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-III თავის (თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ) სათანადო მუხლების მიხედვით.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. დეკემბრის 24.

ტიფლისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 304 №-ში 1930 წ. დეკემბრის 27.

4. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქონლის დაუზოგველად დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ.

„საქონლის დაუზოგველად დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილებისა („იზვესტია“-ს 319 №-ი) და ამ დადგენილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 3-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 327 №-ი) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ.

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს:

ა) დაუყოვნებლივ ფართოდ აუწყონ მოსახლეობას შინაარსი სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 1-ის დადგენილებისა „საქონლის დაუზოგველად დაკვლის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შესახებ“;

ბ) ათი დღის ვადაზე გამოსცენ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების განსავითარებლად სავალდებულო დადგენილებანი, რომლებითაც დააწესონ სხე-ნებული დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საქონლის დაკვლისათვის ჯარიმი დაკლული ცხოველის ღირებულების ათჯერად რაოდენობამდე, ადგილობრივი სადამზადებლო ფასების მიხედვით, და ეს სავალდებულო დადგენილებანი შემოიღონ სამოქმედოდ დაუყოვნებლივ, გამოქვეყნებისთანავე;

გ) უკეთუ კულაკები და ჩარჩები დაარღვევენ აღნიშნულ დადგენილებას ბოროტი განზრახვით ან წააქეზებენ ვისმე მის დასარღვევად, სავალდებულო დადგენილების თანახმად დასაჯები ჯარიმის გადახდევინების გარდა, შეიტანონ პრეზიდიუმში საკითხი მათი კუთვნილი ოთხზეტი საქონლის მთლად ან ნაწილობრივ კონფისკაციის შესახებ და აღძრან მათ წინააღმდეგ დევნა სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 136¹ მუხლის თანახმად.

3. დაევალოს აგრორწმუნებულებსა და ზოორწმუნებულებს თვალყური ადევნონ ზემოდ დასახელებულ დადგენილებაში აღნიშნული საქონლის აკრძალულ დაკვლას და ყოველი შემთხვევა ამ დადგენილების დარღვევისა აცნობონ სასოფლო საბჭოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

4. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრისა და მერძევეობა-მეცხოველობის კოოპერაციის კავშირის მონაწილეობით და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის საქმეში ჩაბმით — განახორციელონ სოფლად ფართო განმარტებითი კამპანია იმის თაობაზე, რომ შეუწყნარებელია ღარიბ და საშუალო მეურნეობათაგან საქონლის გაყიდვა და დაკვლა კოლექტიურ მეურნეობებში ან სხვა საწარმოო სასოფლო-სამეურნეო შენაერთებში შესვლის დროს; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასებისათვის. იმ ზიანის განმარტებას, რაც თვით მათ მოსდით საქონლის ასეთი გაყიდვით და დაკვლით.

5. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე — მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1930 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი — სასახლე.

კომუნალური და საბინაო მუშაობა

5. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

კომუნალური საბინაო ფონდის შესახებ.

მუშების, მოსამსახურეებისა და მოსწავლეების საბინაო საქიროებათა და-საკმაყოფილებლად, და „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრუ-ლიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართვე-ლოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის (კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20) მე-5 მუხლის განსავითარებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებლად ვარგისი ფართობიდან იმ პროცენტის გამოყოფა კომუნალური საბინაო ფონდისათვის, რაც გათვა-ლისწინებულია „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ გამოცემული სრულიად სა-ქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-5 მუხლით (კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20), შეიძლება საქალაქო საბჭოების სავალ-დებულო დადგენილების თანახმად—ტფილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და სოხუმში და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სავალდებულო დადგენი-ლების თანახმად—დანარჩენ ქალაქებში ქვემოთდევნი მუხლებში აღნიშნულ საფუ-ძვლებზე.

2. სავალდებულო დადგენილება—კომუნალურ საბინაო ფონდში საცხოვ-რებელი ფართობის აღნიშნული პროცენტის გადაცემისა და ამ ფართობის გა-დაუცემლობისათვის ადმინისტრატიული წესით პასუხისმგებლობის დამყარების შესახებ—შეიძლება გამოიცეს ისეთი ქალაქებისათვის, სადაც საცხოვრებელი ფა-რტობის პროცენტული ნორმა ჩამორთმეული სრულებით არ იყო ან ჩამორთ-მეულ იყო ნაწილობრივ.

3. კომუნალური საბინაო ფონდისათვის საცხოვრებელი ფართობი შეი-ძლება გამოყოფილ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც განთავისუფლ-დება ცალკეული არასაწვლელი ოთახი, რაც სავსებით გამოსაყენებელია საცხოვ-რებლად, ხოლო არა შემჭიდროებით, გადასახლებით, ოთახშიგნითი გატიხვრით და სხვაგვარი გარდაგეგმით.

სამოსამსახურო, დერეფანი, გალერეა და აივანი, აგრეთვე ბნელი ან ნახე-ვრად ბნელი ოთახი, რომელიც არ თბება, ან რომელიც სასარდაფო თუ ნახე-ვრად-სასარდაფო სადგომშია, მხედველობაში არ მიიღება.

4. სავალდებულო დადგენილება არა ვრცელდება ისეთ სახლებზე, სადაც ერთხელ უკვე გამოყოფილი იყო კომუნალური საბინაო ფონდისათვის გადასა-ცემი ფართობი.

აღნიშნული საპროცენტო ნორმის ჩამორთმევის დროს ფონდში გადაცე-ნულად უნდა ჩაითვალოს ის ოთახები, რომლებიც კერძო მფლობელობის სა-

ხლებში დაქერილია ორდერებით, კერძოდ—სამხედრო და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ფონდებისათვის.

5. ვიდრე განსაზღვრული საპროცენტო ნორმა სრულიად გადაცემული არ არის, სახლის პატრონს უფლება არა აქვს მისი სახლის განთავისუფლებულ ოთახში ჩასახლოს ვინმე.

6. უკეთუ სახლის პატრონი კომუნალური საბინაო ფონდისათვის გადასაცემ თავისუფალ ოთახებში ჩასახლებს ვისმე, სახლის პატრონისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადებასთან ერთად, შეიძლება სასამართლოს წესით უკანონოდ დაქერილი ოთახების განთავისუფლება და კომუნალურ საბინაო ფონდში გადაცემა.

7. კომუნალურ საბინაო ფონდში ვადარიცხული კერძო მფლობელობის სახლის საცხოვრებელი ფართობი ჩასახლების მხრით კომუნალური ორგანოების განკარგულებაშია, ხოლო ბინის ქირის გადახდევინებისა და სამეურნეო გამგებლობის მხრით სახლის პატრონის განკარგულებაში.

8. უკეთუ კომუნალურ საბინაო ფონდში ხვედრი საცხოვრებელი ფართობის გადაცემისაგან თავის არიდებისათვის სახლის პატრონი თავისუფალ ოთახს დამალავს ან კომუნალურ საბინაო ფონდში გადასაცემ თავისუფალ ოთახს დაიქვრს, მას დაედება ადმინისტრაციული გადასახდელი სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის⁴ ადმინისტრაციული წესით გადასახდელთა დადების შესახებ⁵ გამოცემული დებულების მიხედვით (კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-ი, მუხ. 100; 1928 წ. მე-10 №-ი, მუხ. 92; 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 145 და 23 №-ი, მუხ. 288; 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 169).

ამავე წესით სახლის პატრონს დაედება ადმინისტრაციული გადასახდელი, უკეთუ იგი არ აცნობებს კომუნალურ ორგანოებს კომუნალურ საბინაო ფონდში გადაცემული ოთახის განთავისუფლებას და უკეთუ იგი თვითნებისად ჩასახლებს ვისმე ამ ოთახში.

9. კომუნალურ საბინაო ფონდში საცხოვრებელი ფართობის საპროცენტო ნორმის ვადარიცხვის მოვალეობა არა ვრცელდება აღნაგობის უფლების საფუძველზე აგებულ, აღდგენილ შენება-დამთავრებულ და დაშენებულ სახლებზე და აგრეთვე კერძო მფლობელობის ისეთ სახლებზე, რომლებშიაც ექვსზე მეტი საცხოვრებელი ოთახი არ არის.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1930 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი—სასახლე.

6. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში ბინის ქირის თავის დროზე შეტანის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

რათა საცხოვრებელი სადგომების ქირა ნაციონალიზებულ და მუნიციპალიზებულ სახლებში თავის დროზე იქნეს ხოლმე გადახდილი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახლხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნაციონალიზებული და მუნიციპალიზებული სახლის სამოურაო, არა ჯგვიანეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166 მუხლით დადგენილი ვადებისა, წარუდგენენ აღნიშნულ სახლებში საცხოვრებელი სადგომების დამქირავებელთა საბინაო ქირის ანგარიშს საამისოდ მომქმედ დადგენილებათა თანახმად; ამასთანავე, ის დამქირავებელი, რომელიც არაშრომის შემოსავლით ცხოვრობს გაფრთხილებულ უნდა იქნეს, რომ უკეთუ ქირის გადახდა გადააცილა 15 დღეს იგი გამოსახლებულ იქნება სანოტარო კონტორის აღსრულებითი წარწერის წესით.

2. იმ დამქირავებელს, რომელიც თანახმად არ არის ბინის ქირის წარდგენილი ანგარიშისა, უფლება აქვს აღძრას დავა ანგარიშის თაობაზე სასამართლოს წესით, ხოლო, ამასთანავე, არ უნდა შეაჩეროს ბინის ქირის იმ ნაწილის გადახდა სათანადო ვადაზე, რაც სადავო არ არის.

3. უკეთუ ის დამქირავებელი, რომელიც თანახმად არ არის ანგარიშისა, არ განაცხადებს დავას სასამართლოს ათის დღის ვადაზე ანგარიშის წარდგენის დღიდან, სახლის სამოურაოს უფლება აქვს გადაახდევინოს მას ბინის ქირა წარდგენილი ანგარიშის მიხედვით აღსრულებითი წარწერის წესისამებრ და ამის შემდეგ გადახდევინება შეიძლება შეჩერებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით სარჩელის უზრუნველყოფის წესით.

4. უკეთუ ის დამქირავებელი, რომელიც არაშრომის შემოსავლით ცხოვრობს, ბინის ქირის გადახდას 15 დღეს გადააცილებს და თანაც ბინის ქირის თაობაზე დავას არ აღძრავს, სახლის სამოურაოს უფლება აქვს გამოასახლოს იგი ბინიდან აღსრულებითი წარწერის წესით.

5. ბინის ქირის გადახდის ვადის გადაცილებისას ქირას დაერიცხება საურავი 0,1%-ის რაოდენობით დღეში პირველი თვის განმავლობაში და 0,2%-ის რაოდენობით დღეში შემდგომი დროისათვის, საურავის საერთო რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი დავალიანების თანხის 50%-ს.

შენიშვნა. ბინის ქირის გადახდის ვადის გადაცილება იმის გამო, რომ დამქირავებელმა თავის დროზე ვერ მხილო სამუშაო ხელფასი თავის სამუშაო ადგილას, საფუძვლად არ შეიძლება დაედვას საურავის დარიცხვას.

6. ბინის ქირის და დარიცხული საურავის გადახდევინებისა და ამა დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით დამქირავებლის გამოსახლებისათვის აღსრულებითი წარწერის მისაღებად სახლის სამოურაო შიშართავს სახელმწიფო სანოტარო კონტორას სამოქალაქო სამართლის კოდექსის 166 მუხლით დადგენილი

ვადების შემდეგ 15 დღის გასვლისას; ამასთანავე, მან უნდა წარადგინოს დამქირაველისათვის გამოცხადებული ანგარიში დამქირაველის ხელწერილით ან მილიციის აღნიშვნით, რომ დამქირაველმა უარი განაცხადა ხელწერილის მიცემაზე.

7. სანოტარო კონტორა, მიიღებს-რა განცხადებას აღსრულებითი წარწერის გაკეთების თაობაზე ზემოაღნიშნული დანართებითურთ, დაუყოვნებლივ აცნობებს ამას დამქირაველს და, ორი დღის გასვლისას დამქირაველისათვის შეტყობინების შემდეგ, გააკეთებს სათანადო აღსრულებითს წარწერას, უკეთუ ან ვადაზე დამქირაველი არ წარადგენს ოფიციალურ ცნობას, რომ მან ათი დღის ვადაზე ანგარიშის წარდგენის დღიდან განუცხადა სასამართლოს სათანადო წესით დავა და ბინის ქირის რაოდენობის შესახებ.

8. ნაციონალიზებული და მუნიციპალიზებული სახლების სამოურაონი მოვალენი არიან მტკიცედ ადვენონ თვალყური ბინის ქირის თავის დროზე გადახდას და იზმარონ, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიებანი ვადაგადაცილებული ქირის იძულებით გადახდევინებისა და არაგადამხდელთა გამოსახლებისათვის.

სახლის სამოურაონს თანამდებობის პირი, რომელიც დაყოვნებს აღნიშნულ ღონისძიებათა მიღებას, პასუხს აგებს როგორც სამსახურებრივ დანაშაულისათვის სადისციპლერო და სასამართლოს წესით.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა სასამართლოებში სანოტარო კონტორებში და სასამართლოს აღმასრულებლებთან საქმეები ბინის ქირის გადახდევინებისა და გამოსახლების შესახებ ამა დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სწარმოებდეს რიგს გარეშე და დაუბრკოლებლად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მგეიერ დ. სუხიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. დეკემბრის 29.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 306 №-ში 1930 წ. დეკემბრის 30.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

7. დადგენილება ს. კ. ს.

საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის საგადასახადო შედავათების მინიჭების შესახებ.

„ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების“ 28 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს 1930 წ. ოქტომბრის 1-დან 1934 წ. იანვრის 1-დე:

ა) რენტის გადახდისაგან — ის მიწის ნაკვეთები, რაც არსებული წესისამებრ განკუთვნილია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოებისათვის;

ბ) შენობის ადგილობრივი გადასახადისაგან — საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოების კუთვნილი შენობები, რომლებიც მდებარეობს კურორტების ტერიტორიაზე ან სამთო სასანიტარო დაცვის ოლქებში და რომელთა ექსპლოატაცია სწარმოებს უშუალოდ, იჯარით გაუქვმლად;

გ) სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან — აღნიშნული სამმართველოების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებანი, რომელნიც მომსახურებას უწევენ საკურორტო საწარმოთ და ავადმყოფთა გადაყვანის საქმეს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.
1930 წ. დეკემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

8. დადგენილება ს. კ. ს.

სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან საპორტო სამმართველოების ნავჭურჭლების განთავისუფლების შესახებ.

„სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან საპორტო სამმართველოების მოტორიანი და უმოტორო ნავჭურჭლების განთავისუფლების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 22-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-18 №-ი, მუხ. 188) და „ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების“ 28 მუხლის „თ“ პუნქტის წესისამებრ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ში, მუხ. 697) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საპორტო სამმართველოების სამსახურებრივი დანიშნულების მოტორიანი და უმოტორო ნავჭურჭლები განთავისუფლებულ იქნეს სატრანსპორტო საშუალებათა ადგილობრივი გადასახადისაგან, უკეთეს ეს ნავჭურჭლები გამოიყენება არა კომერციული მიზნით, არამედ მარტოოდენ პორტის საჭიროებისათვის მომსახურების გასაწევად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.
1930 წ. დეკემბრის 24.
ტფილისი-სასახლე.

9. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი დაბეგვრის სფეროში სამხედრო მსახურთა შეღავათების შესახებ.

„მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და სამხედრო-ვალდებულთა და მათ ოჯახთა შეღავათების კოდექსის 87 და 88 მუხლებისა (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 23 №-ი, მუხ. 253) და „ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 30 და 34 მუხლებისა და საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აგვისტოს 18-ის დადგენილების მე-II კარის „ა“ და „ბ“ პუნქტების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 169) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მერიგეთა და თავმჯდომთა საკადრო შედგენილობის სამხედრო მსახურთ (გრძელვადიან შევებულებაში დათხოვნილ სამხედრო მსახურთა გარდა) და მათი ოჯახნი განთავისუფლებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე:

ა) სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან—ერთი ცხენისათვის, უკეთუ ცხენი გამოიყენება მარტოოდენ საოჯახო მეურნეობაში, და ერთი ველოსიპედისათვის;

ბ) ქალაქ ადგილას ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან—ერთი სული მსხვილფეხა საქონლისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. დეკემბრის 24.

ტფილისი-სასახლე.

კ რ ე დ ი ტ ი

10. დადგენილება ფ. ა. კ. და ს. კ. ს.

საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებისათვის ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

უფლება მიეცეს სარაიონო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათ მიაქციონ ხოლმე არაპირიანი საკოოპერაციო-საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციების ვადაგადაცილებული დავალიანების დასაფარავად მათი ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები, რაც აღნიშნულ ამხანაგობებში ირიცხება, თვით ამ ამხანაგობათა განკარგულებით, სასამართლო ორგანოებისათვის მიუმართავად.

უკეთუ ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები არ არის, აგრეთვე უკეთუ ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები საკმარისი არ იქნება, უფლება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს აღსრულებითი წარწერათა და

აღსრულებითი ფურცლით, რაც მათი სარჩელით გაიცემა, გადახდებიან და მიეცე-
ციონ პირველ რიგში—ზემოხსენებულ ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშებს
სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, მეორე რიგში—არარეალიზებულ პროდუქ-
ციას და შემდეგ—სხვა ქონებას, მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დადგენილება ესე ვრცელდება აგრეთვე აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის
ავტონომიურ სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრაა.

1930 წ. დეკემბრის 20.

ტფილისი—სასახლე.

შ რ მ მ ა

11. დადგენილება ს. კ. ს.

**კოლექტიურ მეურნეობებში სამუშაოდ საანგარიშო საქმის მომუშავეებისა და
აგრონომიული პერსონალის მობილიზაციის შესახებ.**

კოლექტიურ მეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის წარმატებით
ჩატარების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო
ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამასთანავე დართულ ნუსხაში აღნიშნულ დაწესებუ-
ლებებსა და ორგანიზაციებს გამოჰყონ ამა 1930 წლის დეკემბრის 28 საქართვე-
ლოს კოლმეურნეობათა ცენტრის განკარგულებაში ბუხვალტრები და მონაგა-
რიშენი რაიონის მომუშავეებისათვის კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების
შედგენის საქმეში ინსტრუქტივების გასაწევად. ეს ბუხვალტრები და მონაგა-
რიშენი მობილიზებულად ჩაითვალებს 1931 წლის იანვრის 1-დან თებერვ-
ლის 1-მდე.

მობილიზებულ მომუშავეთა შესანახი ხარჯი (სამუშაო ხელფასი, დღიური,
სამგზავრო და სხვ.) მთლად დაეკისროს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზა-
ციებს, სადაც ეს მომუშავენი მუდმივად მუშაობენ.

2. წინადადება მიეცეს საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტს გამოჰყოს
უკანასკნელი კურსების 50 სტუდენტი ვადით 1931 წლის იანვრის 1-დან თებერვ-
ლის 1-მდე კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების შესადგენად საქირო მუშაო-
ბისათვის. სამისოდ საქირო ხარჯი დაიფაროს საქართველოს კოლმეურნეობათა
ცენტრის განკარგულებაში ქონებული სპეციალური სახსარიდან.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კო-
მისარიატს მოახდინოს ზემოაღნიშნული ვადით ცენტრალურ დაწესებულებათა
60 აგრონომისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უკანასკნელი კურსების
150 სტუდენტის მობილიზაცია კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმების შესად-
გენად.

მობილიზებული აგრონომების შენახვა (სამუშაო ხელფასი, დღიური, სამგზავრო და სხვ.) დაეკისროს იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, სადაც ეს აგრონომები მუდმივად მუშაობენ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების შესანახი ხარჯი დაიფაროს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ქონებული სპეციალური სახსარიდან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1930 წ. დეკემბრის 27.

ტფილისი-სასახლე.

6 უ ს ხ ა

იმ დაწესებულებებისა, რომელთა ბუხჰალტრები და მოანგარიშენი მობილიზებულ უნდა იქნენ კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

დაწესებულებათა სახელწოდება	მობილიზებულთა რიცხვი		დაწესებულებათა სახელწოდება	მობილიზებულთა რიცხვი	
	ბუხჰალტერი	მოანგარიშე		ბუხჰალტერი	მოანგარიშე
1. „მეგრავი“	1	1	24. საქ. სმუს	2	—
2. ახალშენი	1	1	25. ფინსახკომი	1	1
3. წითელი ჯვარი	1	1	26. სახელგამი	1	2
4. სახმედვაქობა	1	1	27. ტფ. კომ. განყ.	2	2
5. კომ. ბანკი	2	1	28. მ/გ ინსპექცია	1	—
6. ტფ. აღმ. წყალ. განყ.	1	2	29. საქ. ვაჭრ. კ-ტი	1	1
7. საქ. ღვინო	1	2	30. საქ. პროფსაბჭო	2	1
8. მემინდვრ. კავშირი	1	1	31. პოლიგრაფტრესტი	1	1
9. მეცხოველ. კავშირი	1	1	32. „გლარჯა“	1	1
10. სპეცტეხ. კულ. კავშ.	1	—	33. სახ. დაზღვევა	1	1
11. საბჭ. მურ. ტრესტი	1	1	34. გახ. „კომუნისტი“	1	1
12. ცეკავშირი	1	2	35. საკურ. სამმართ.	1	1
13. სარეწაო კავშირი	1	3	36. შრომის სახკომი	1	1
14. მიწსახკომი	1	1	37. საქ. მთიელ. სახ.	1	1
15. საშ. მასალ. ტრესტი	1	1	38. ნატახტ. წყალ.	1	1
16. საქ. სახ. ვაჭრობა	1	2	39. ტფ. სახ. გან. განყ.	1	1
17. ლომბარდი	1	1	40. სახკინმრეწვი	2	1
18. ტელასი	1	2	41. საბინაო კავშირი	1	2
19. საქ. სპორტი	1	—	42. ჯანსახკომი	1	1
20. საქ. აბრეშუმი	1	1	43. საქ. გზ. ტრანსპორ.	1	1
21. საქ. ჩაი	1	—	44. საქ. ნავთი	1	1
22. საქ. წყალ. მეურნ.	1	—	45. კომ. სახლ. სამ.	1	2
23. ტფილ. სოფ. მრეწვი	1	1			

სასამართლოს წყობილება და სამართლის წარმოება

12. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის სარკინისგზო (სახაზო) სასამართლოს მოწყობისა და ამ სასამართლოს დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.

„სარკინისგზო სახაზო სასამართლოების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 27-ის დადგენილებისა („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტი ს იზვესტია“-ს 1930 წ. 328 №-ი) და „აკსფსრ ტერიტორიაზე სარკინისგზო სახაზო სასამართლოების მოწყობის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. დეკემბრის 21-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1930 წ. 345 №-ი) თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან საქართველოს სსრ სარკინისგზო (სახაზო) სასამართლო და დამტკიცებულ იქნეს ქვემოთდევნი დროებითი დებულება ამ სასამართლოს შესახებ.

2. წინადადება მიეცეს:

ა) სასამართლო ორგანოებს—ერთი დეკადის ვადაზე გადასცენ განსახილველად საქართველოს სსრ სარკინისგზო სასამართლოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სისხლის სამართლის საქმეები საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა შესახებ, რაც გათვალისწინებულია სარკინისგზო სასამართლოს ზემოაღნიშნული დროებითი დებულების მე-3 მუხლით;

ბ) რესპუბლიკის პროკურატურას—დაუყოვნებლივ გამოჰყოს პროკურატურის შედგენილობიდან სპეციალური პროკურორი და საგამომძიებლო აპარატის შედგენილობიდან სპეციალური გამომძიებლები სარკინისგზო საქმეებისათვის;

გ) სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტს—დაუყოვნებლივ შეუდგეს სახალხო მსაჯულთა კანდიდატების არჩევას სარკინისგზო სასამართლოს სამსჯავრო სხდომებში მონაწილეობის მისაღებად დროებითი დებულების მე-2 მუხლის თანახმად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მაგიერ **ლ. სუხიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1930 წ. დეკემბრის 27.

ტფილისი-სასახალე.

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ სარკინისგზო (სახაზო) სასამართლოს შესახებ.

1. ამა დებულების მე-3 მუხლში აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეთა გადასაწყვეტად საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან მოეწყობა საქართველოს სსრ სარკინისგზო სასამართლო, რომელიც მოქმედობს შემდეგი შედგენილობით: ა) სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, რომელნიც გამოიყოფიან საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან; ბ) ორი სახალხო მსაჯული ტრანსპორტის მომუშავეთაგან, რომელნიც მიიწვევიან სამსჯავრო სხდომებში მონაწილეობისათვის—ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული წესისამებრ შედგენილი სიების მიხედვით.

2. სარკინისგზო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიებში შეიტანებიან მარტოოდენ ტრანსპორტის მომუშავენი, რომელნიც შეეფერებიან საერთო სასამართლო დაწესებულებების სახალხო მსაჯულთათვის განსაზღვრულ პირობებს.

სარკინისგზო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა კანდიდატები აირჩევენ სარკინისგზო ტრანსპორტის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებებზე იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს და გაანაწილებს სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტი.

სარკინისგზო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიას შეადგენს სპეციალური კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარე—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი—პრეზიდიუმის არჩევით, უზენაესი სასამართლოს წევრი, სახელმწიფო პროკურატურის წარმომადგენელი და სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ორი წარმომადგენელი.

სარკინისგზო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა სიაში უნდა ირიცხებოდეს არა ნაკლებ ასი კაცი სა იმ კანდიდატთაგან, რომელნიც აირჩევიან სარკინისგზო ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე; ამასთანავე, ამ სიაში სახალხო მსაჯულთა 85%-ის მაინც უნდა შეადგენდნენ მუშები.

3. სარკინისგზო სასამართლოს ექვემდებარება შემდეგი საქმეები:

ა) ტრანსპორტის მომუშავეთა მიერ შრომის დისციპლინის სიბოროტით დარღვევის შესახებ;

ბ) მოძრაობის წესების დარღვევისა და შეუსრულებლობის შესახებ, რამაც გამოიწვია მოძრავე შედგენილობისა, გზისა, და საგზაო ნაგებობათა დაზიანება თუ განადგურება, ან ადამიანთა უბედურება;

გ) მოძრაობის წესების დარღვევისა და შეუსრულებლობის შესახებ, რაც, თუნდაც არ გამოიწვიოს „ბ“ პუნქტში აღნიშნული შედეგი, მაინც წარმოადგენს საურთხეს მოძრაობის წესიერებისა და უშიშროებისათვის;

დ) ისეთი დანაშაულის შესახებ, რაჲც გამოიწვია ცარიელი ვაგონების დაგროვება გადმოტვირთვის ადგილას, აგრეთვე ვაგონების მოცდენა და პარკში ზედმეტი ვაგონების გაჩერება;

ე) ორთქმავალისა, ვაგონისა, ცისტერნისა და სხვა სატრანსპორტო გაწყო ბილობის უხეირო რემონტის და საექსპლოატაციოდ უხეიროდ შეკეთებული ორთქმავალისა, ვაგონისა, ცისტერნისა და სხვა სატრანსპორტო გაწყობილობის გამოშვების შესახებ;

ვ) ტრანსპორტზე ჩადენილი სხვა დანაშაულის შესახებ, რაც არღვევს ტრანსპორტის ნორმალურ მუშაობას;

ზ) ყველა იმ კონტრრევილიუციონური დანაშაულის შესახებ, რაც დაკავშირებულია სარკინისგზო ტრანსპორტის მუშაობასთან.

შენიშვნა. ამა მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა საქმეები ექვემდებარება სარკინისგზო სასამართლოს იმისდამიუხედავად, ჩადენილია ეს დანაშაული სარკინისგზო ტრანსპორტის მომუშავის მიერ, თუ სხვა მოქალაქის მიერ.

4. სარკინისგზო სასამართლოს ქვემდებარე დანაშაულთა საქმეებს გამოიძიებენ რესპუბლიკის პროკურატურის მიერ საგამომძიებლო აპარატიდან გამოყოფილი სპეციალური გამოძიებლები.

საპროკურორო ზედამხედველობას ამ საქმეებზე, სხვათა შორის ბრალმძებლობასაც სარკინისგზო სასამართლოში, ანხორციელებს სახელმწიფო პროკურატურის მიერ საამისოდ გამოყოფილი სპეციალური პროკურორი.

სპეციალური პროკურორის მოქმედებას ხელმძღვანელობას უწევს უშუალოდ სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს პროკურატურა.

5. სარკინისგზო სასამართლო და სარკინისგზო საქმეთა სპეციალური პროკურორები და გამოძიებლები საქმის წარმოების დროს იხელმძღვანელებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს იმ გამონაკლისით, რაც დადგენილია ამა დებულებაში.

6. სარკინისგზო სასამართლოს ქვემდებარე საქმეების გამოძიება სწარმოებს უაღრესად სასწრაფო წესით და იგი დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა.

საქმის გამოძიების დამთავრებისას, ყოველი საქმე დაუყვანებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 5 დღისა, განხილულ უნდა იქნეს სარკინისგზო სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საძნელოა საჭირო ცნობების მიღება, მოწმეთა დაბარება შორეული ადგილიდან და სხვ. შემოაღნიშნული ვადები შეიძლება განგრძობილ იქნეს, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე 5 დღით.

7. სარკინისგზო სასამართლოს სამსჯავროს სხდომა უნდა იმართებოდეს, რამდენადაც შეიძლება, დანაშაულის ჩადენის ადგილის მახლობლად—სარკინისგზო სახელოსნოში, დეპოში, მუშათა კლუბში და სხვ. და იზიდავდეს მუშათა ფართო მასებს. სასამართლოს სხდომაში, სახელმწიფო ბრალმძებელთან ერთად, მონაწილეობას უნდა იღებდნენ საზოგადოებრივი ბრალმძებელნი ტრანსპორტის მომუშავეთაგან.

შენიშვნა. ამ მიზნით სარკინისგზო სასამართლო იხილავს საქმეებს როგორც თავის მუდმივ სამყოფელ ადგილას, ისე სესიაში წასვლით.



8. სარკინისგზო სასამართლომ და სარკინისგზო საქმეთა გამომძიებლებმა და პროკურორებმა ტრანსპორტზე ჩადენილ დანაშაულთა გამომძიების დროს უნდა გამოარკვიონ არა მარტო დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი, არამედ აგრეთვე ნიშანდობლივ უნდა აღნიშნონ ის პირნიც, ვინც პასუხისმგებელია ტრანსპორტის ამა თუ იმ უბანში საქმის საერთო მდგომარეობისათვის, რათა მათ შეეფარდოს მკაცრი რეპრესია.

9. სარკინისგზო სასამართლოს განაჩენი შეიძლება განსაჩივრებულ თუ განპროტესტებულ იქნეს სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა კოლეგიაში.

საჩივარი და პროტესტი შეიტანება, არა უგვიანეს 72 საათისა განაჩენის გამოცხადების მომენტიდან, სარკინისგზო სასამართლოში, რომელიც დაუყოვნებლივ გაგზავნის საქმეს საჩივრითურთ (პროტესტითურთ) სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა კოლეგიაში.

სსრკ-ის უზენაესი სასამართლოს სატრანსპორტო საქმეთა კოლეგიის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტ“-ის მე-2 №-ში, 1931 წ. იანვრის 2.

13. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართის მე-II მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი № ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 271 მუხლის 1-ლი დანართის მე-II მუხლი (კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-ი, მუხ. 131) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„II. საკრედიტო და გაუსესხებელ-შემნახველი ამხანაგობების მიერ, აგრეთვე საკრედიტო ფუნქციების მქონე სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების მიერ გაცემული სესხის გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს ყველა ისეთ ქონებაზე, გამოუკლებლად, რაც შეძენილმა ამ სესხითა“.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ.-ის მდივანი ხ. თოდრია.

1930 წ. დეკემბრის 20.

ტიფლისი-სასახლე.